ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 124 (19865) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 30 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ ᲡᲐᲗᲑᲝᲛᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲝᲚᲓ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲝᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲜ ᲡᲐᲛᲘᲡᲝᲚᲓ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲝᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲜ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲐᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲝᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲜ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲖᲔ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘ Გ. Ი. ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ, Ო. Გ. ᲒᲐᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ბ. Გ. ᲜᲘᲙᲝᲚᲬᲙᲘ, Ო. Დ. ᲩᲘᲠᲥᲔᲖᲘᲐ, ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ Ა. Ე. ᲛᲐᲠᲩᲣᲙᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ა. Ნ. ᲛᲐᲙᲣᲩᲝᲜᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲗᲑᲝᲛᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ბ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡᲜᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲗᲑᲝᲛᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲗᲐᲗᲑᲝᲛᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ჯ. Ი. ᲞᲐᲢᲐᲪᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება სულ უფრო აქტუალურს ხდის შინაპარტიული დემოკრატიის გაღრმავებას, შემოქმედებითი პარტიული მუშაობის ახალ საფეხურზე აყვანას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მუდმივ ყურადღებას უთმობს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, შემოქმედებითი პორიზონტის გაფართოებას, განაზოგადებს მათი მუშაობის პრაქტიკას, სახავს თანამედროვე პირობებში ახლებურად მოღვაწეობის გზებსა და საშუალებებს. პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნათელი და კონკრეტული პროგრამაა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები. ეს დოკუმენტები გვასწავლის, რომ თანამედროვე ეტაპზე საჭიროა მასებისადმი ახლებური მიდგომა, მათი შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა, ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება, შრომითს კოლექტივში პარტიული გავლენის გაძლიერება, მუშაობის ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიება და დანერგვა.

პარტიული მუშაობის გარდაქმნის დედააზრი ის არის, რომ ყოველი პარტიული ორგანიზაცია აქტიურად იბრძოდეს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული კურსის განხორციელებისათვის, იღვწოდეს თავისი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების ძიების, განახლების ჯანსაღ ატმოსფეროში. ამის გაკეთება კი შეიძლება მხოლოდ ყველა კომუნისტის ძალისხმევით, დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კონტროლის გაშლის, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების გზით. გარდაქმნის წარმატებას გადამწყვეტნილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად სწრაფად და ღრმად განიმსჭვალებიან კომუნისტები რევოლუციური ცვლილებების საჭიროების გაგებით, რამდენად შეუპოვრად, ენერგიულად და კომპეტენტურად იმოქმედებენ ისინი. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება პარტიის აქტიური, მიზანდასახული, ლენინურ პრინციპებზე დამყარებული, გარდაქმნის ამოცანების შესაბამისი შემოქმედებითი მუშაობა.

„გარდაქმნა, — ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე, — უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს საჭირო ეკონომიკური პირობების შექმნას ახალი ფორმირებისათვის. საქმე ეხება იმას, რომ ჩამოვაყალიბოთ პრინციპულად ახალი სამეურნეო-ეკონომიკური და ორგანიზატორული ბაზა, უარი ვთქვათ დრომოჭმულ სტერეოტიპებზე, ზედმეტ ორგანიზებულობასა და ადმინისტრირებაზე, გზა გავუხსნათ საზოგადოებაში დაგროვილ ახალ ძალებსა და ენერგიას, ინიციატივასა და გერგილიანობას“.

გარდაქმნისათვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლის ძირითადი რგოლია პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სადაც პარტიის პოლიტიკა ხორციელდება კომუნისტების ძალისხმევით, უკავშირდება მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმეებსა და საზრუნავს. პარტიულ მუშაკებს უნდა შეეძლოთ ყოველი პრობლემისა და საქმისადმი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მიდგომა.

შემოქმედებითი პარტიული მუშაობის გაღრმავება უწინარეს ყოვლისა ნიშნავს თვით პარტიის, მისი კადრების მუშაობის გარდაქმნას ყველა დონეზე. პარტიის, მისი კომიტეტების წარმმართველი როლი უნდა ვლინდებოდეს იმით, რომ დაეხმარონ ყველა სფეროში მომუშავე კადრებს, შეიცნონ მომენტის ამოცანები და მკაცრად მოპკითხონ დაკისრებული საქმისათვის. გარდაქმნის პირველივე ნაბიჯებმა ნათლად გვიჩვენა, რომ პარტიულმა ორგანოებმა საბოლოოდ უნდა უკუაგდონ მისთვის შეუფერებელი მეურვეობრივი ფუნქციები: სხვების მაგივრად საკითხების გადაწყვეტის, საბჭოთა ორგანოების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაგივრობის გაწევის მისწრაფება. „პირდაპირ და პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, — რომ მუშაობის ტექნოკრატიულმა, „ადმინისტრაციულ-ზეგავლენითმა“ სტილმა საკმაო ზიანი მიაყენა პარტიულ საქმეს, უწინარეს ყოველისა, ადამიანებთან მუშაობას, ანუ მთავარს პარტიის საქმიანობაში. ბევრმა პარტიულმა მუშაკმა თავს იდო სამეურნეო საზრუნავი, მთელ რიგ შემთხვევებში შეუფერებელი ფუნქციები იკისრა და შეანელა ყურადღება პოლიტიკური საკითხებისადმი, ეკონომიკის სოციალური და სულიერი ცხოვრების სფეროში საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებისადმი“.

დღეს გარდაქმნის გამოცდას აბარებენ მთელი პარტიული კადრები. იმისათვის, რომ ინსტრუქტორებსა და აპარატის სხვა მუშაკებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ ეწვიონ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს კონკრეტული დახმარების გასაწევად, რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტები ზღუდავენ ბიუროზე განსახილველი საკითხების წრეს. რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს, ეს იმის საშუალებას აძლევს, რომ უფრო ღრმად შეისწავლონ პრაქტიკა, მიიღონ საჭირო, ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილებანი, მეტი ყურადღება დაუთმონ შესრულების ორგანიზაციას. მაგალითად, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტში, რომელიც სისტემატიურად ეძებს შემოქმედებითი პარტიული მუშაობის გზებს, გარდაქმნასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელების პროცესში უარი თქვეს უამრავი საკითხის განხილვა-გამეორების უსარგებლო პრაქტიკაზე, არარეალური დადგენილებების მიღებასა და გაუთავებელი თათბირ-სხდომების გამართვაზე. თუ 1985 წლის ივნის-სექტემბერში საქალაქო კომიტეტის ბიურომ სამოცამდე საკითხი განიხილა, შარშან ამავე პერიოდში მათი რიცხვი ოედარავს არ აღემატებოდა. გარდა ამისა, თუ 1985 წლის I ივლისამდე პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი იყო 31 სხვადასხვა მუდმივმოქმედი საბჭო, კომისია და საბუშაო ჯგუფი, მათი რიცხვი დღეისათვის ნუთამდეს შემცირებული. მართალია, ამით ყველა საჭირბოროტო პრობლემა არ გადაჭრილა, მაგრამ ერთი რამ ამკარაა: პარტიული მუშაკები და აქტივისტები, სამეურნეო ხელმძღვანელები და სპეციალისტები გაცილებით ნაკლებ დროსა და ენერგიას ხარჯავენ პროექტების, მოხსენებების, სხვადასხვაგვარი ცნობებისა და ცხრილების შედგენაზე, სხდომებისა და თათბირების მოწყობაზე და მთელ თავიანთ ძალისხმევას ახმარენ კადრებთან მუშაობას, მეტ დროს პირველად და საამქრო პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიულ ჯგუფებში, შრომითს კოლექტივებში ატარებენ.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხისადმი შემოქმედებითს მიდგომას, ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ქალაქ ჭიათურასა და მის ზონაში საგრძნობლად იკლო არასრულწლოვანთა დანაშაულობებმა, ხოლო შარშან იმი თვის განმავლობაში საერთოდ არ მომხდარა, რასაც ხელი შეუწყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელმა ყურადღებამ. საქალაქო კომიტეტის ბიურო სხდომებზე უკანასკნელ ორ წელიწადში მოისმინეს ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის და განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელის ანგარიშები. ანდა ავიღოთ პარტიის ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტი, რომლის მუშაკები მეტ წილ დროს საბჭოთა მეურნეობებში, შრომითს კოლექტივებში ატარებენ და გულდასმით სწავლობენ ყველა საჭირბოროტო პრობლემებს. მუშაობის ასეთი პრაქტიკა დადებით გავლენას ახდენს სამეურნეო მაჩვენებლებზე: თუ წინა წლებში რაიონის სამ ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობაში ერთ ძროსაზე საშუალოდ 2400-2600 კილოგრამ რძეს წველიდნენ, დღეს 28 მეურნეობიდან თხუთმეტმა მათგანმა უკვე 2 950-3 200 ლიტრს გადააჭარბა და უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე რაიონმა შარშან ძროვედან შვასრულა რძის წარმოების გეგმა. სახორცედ ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონაც თითქმის ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულ ზღვარს — 360 კილოგრამს მიუახლოვდა. ტკბილეულების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება და რესპუბლიკის ეკონომიკური მაჩვენებლები უფრო მოამბეჭდავი იქნებოდა, თითოეული პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი დაუღალავად რომ იბრძოდეს წარმატებისათვის, შემოქმედებითი პარტიული მუშაობის დანერგვისათვის. მაგრამ რა შემოქმედებითი პარტიული მუშაობა უნდა მოვთხოვოთ გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების კომუნისტებს, რომელთა წარუებითა და უარნეიობით 1981-1985 წლებში აქ მაჩვენებლებს წაამატეს 20 მილიონი მანეთი. გაერთიანების „საქფრინველმრეწვის“ მეფრინველეობის ფაბრიკებში ბოლო ორი წლის მანძილზე ფრინველისა და მოზარდეულის ზენორმატიულმა გაწყდომამ რესპუბლიკა 8 მილიონი მანეთით აზარალა. რას აკეთებენ აქ დასაქმებული კომუნისტები, როგორ ესმით გარდაქმნა, პარტიული მუშაობის რა ფორმებს ეძებენ, რით გამოიხატება მათი ავანგარდული როლი?!

პარტიის მიერ დასახული გარდაქმნის გრანდიოზული ამოცანები მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თითოეულ საწარმოო უბანზე პარტიული მუშაობის გაძლიერებას, დისციპლინის განმტკიცებას, პრობლემებისადმი შემოქმედებითად მიდგომას.

ეს კარგად უნდა ახსოვდეს თითოეულ კომუნისტს.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 29 მაისი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა.

საბოლოო სხდომაზე, რომელიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანის ი. კადარის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ხელი მოაწერეს დოკუმენტს „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინის შესახებ“.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით — ტ. ჟივკოვმა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ე. ჰონეკერმა; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვ. იარუზელსკიმ; რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — ნ. ჩაუშესკუმ; საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა — მ. ს. გორბაჩოვმა; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. კადარმა; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — გ. ჰუსაკმა.

მიიღეს აგრეთვე თათბირის კომუნიკე.

თათბირმა, რომელმაც მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო ყველა განხილულ საკითხზე შეხედულებათა ერთიანობა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: შეხვედრის დროს. ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 29 მაისი. (საკდესი). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების ხელმძღვანელების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ი. კადარი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

შეხვედრამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

Մ. Ս. ᳳᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ე. ᲰᲝᲜᲔᲙᲔᲠᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 29 მაისი (საკდესი). აქ 28 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს.

საუბარი მიეძღვნა ფართო წრის საკითხებს, რომლებზეც ახლა მუშაობს ორი მოძმე პარტია.

1986 წლის აპრილში ბერლინისა და ოქტომბერში მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრების დროს მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციის თვალსაზრისით განიხილეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა დარგებში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. მთელი რიგი მიმართულებებით, მათ შორის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოების, გაერთიანებებისა და კომბინატების პირდაპირი კავშირურთიერთობის განვითარებაში მიღწეულია გარკვეული წინსვლა. ამავე დროს საჭიროდ ცნეს დინამიზმი მიანიჭონ თანამშრომლობის ახალი ფორმების დანერგვას, რაც ფართო შესაძლებლობებს დასახავს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში კოოპერაციის განვითარებისათვის, ხელს შეუწყობს ორივე ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის დიდი ამოცანების გადაწყვეტას. მხარეებმა დათქვეს, რომ საკითხთა ამ კომპლექსს დაწვრილებით განიხილავენ უახლოეს დროში.

საუბრის დროს განიხილეს საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის ამოცანები. გამოითქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ მაღალი დონე აქვს მოქმედების კოორდინაციას ევროპის მშვიდობისა და უშიშრობის უზრუნველყოფის საქმეში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმებული საგარეო-პოლიტიკური გზის განხორციელების დროს. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დონის რეგულარულ კონსულტაციებს საკითხებში, რომლებიც ორივე ქვეყნის ინტერესებს ეხება.

საუბარმა ურთიერთგაგებისა და გულთადობის სულისკვეთებით ჩაიარა.

ᲔᲤᲗᲘᲕᲜᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 29 მაისი. (საკდესი). ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ „ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ“.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ჯ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1987 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲛᲐᲘᲡᲘ.

▼▼

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲐᲑᲘᲝᲡ ᲫᲔ ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲘᲫᲔ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1937 ᲬᲚᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ, ᲡᲙᲙᲐ ᲬᲕᲠᲘᲡ 1960 ᲬᲚᲘᲡᲐᲜ, ᲐᲥᲕᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ, ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲜᲚᲔ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ შემდეგ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑ

დისციპლინა და წესრიგი ყველგან სანიმუშო უნდა იყოს

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენი მასალების ზოგიერთ საწარმოში პროდუქციის მიწოდებისათვის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობისა და მისი ხარისხის მდგომარეობის, აგრეთვე თელავისა და თეთრი წყაროს რაიონების რაიკოოპერატივების საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის მუშაობის და სხვა საკითხებზე.

როგორც საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან ერთად მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, სახელმწიფო საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განსამტკიცებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ საშენი მასალების, მშენებლობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებისა და სახალგორმრეწვის რესპუბლიკური გაერთიანების „საქაგრომშენის“ შემოწმებული საწარმოების მუშაობა არ შეესატყვისება თანამედროვე მოთხოვნებს.

მშენებლობის სამინისტროს „მშენნდუსტრიის“ ტრესტის № 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანამ სტატისტიკურ ანგარიშებში უჩვენა, თითქოს შარშან პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა სახელშეკრულებო ვალდებულებების მიხედვით 99 პროცენტით შესრულდა. ამ დროს კი, დაარღვია რა სახელშეკრულები ვალდებულება, ქარხანამ 9 ორგანიზაციას დააკლო 6494 კუბური მეტრი კონსტრუქციები, ხოლო 8 ორგანიზაციას ფონდების გადამეტებით მისცა 6540 კუბური მეტრი კონსტრუქციები, თანაც გარეშე ორგანიზაციებს უგანაწესოდ მისცა 11 ათასი მანეთის მასალები და კონსტრუქციები, ყოველივე ამის გამო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულების გათვალისწინებით, ფაქტობრივად 87,1 პროცენტით შესრულდა. ანალოგიური მდგომარეობა გამეორდა წლეულს, პირველ კვარტალში.

საანგარიშგებო მონაცემებით, საშენი მასალების სამინისტროს კასპის საშენი მასალების ქარხანამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა სახელშეკრულებო ვალდებულებათა გათვალისწინებით 100 პროცენტით შეასრულა. ფაქტობრივად კი აღმოჩნდა, რომ 25,8 პროცენტით ხელოვნურად შუამცირებია პროდუქციის საგეგმო ღირებულება, რითაც მიჩქმალა სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა. სინამდვილეში გეგმა 79,3 პროცენტით შესრულდა. 13 მომხმარებელს საერთოდ არ მიაწოდეს 4.120 კუბური მეტრი საკედლე ბლოკი. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარამომ 126 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადა.

სახელშეკრულებო, საანგარიშგებო და საფინანსო დისციპლინა დაარღვია აგრეთვე რესპუბლიკური გაერთიანების „საქაგრომშენის“ საწარმოო გაერთიანება „საქაგრომშენდეტალმა“; სახელშეკრულებო ვალდებულებათა გათვალისწინებით გეგმის 100-პროცენტიან შესრულებაში დებულების დარღვევით უჩვენეს, თითქოს მომხმარებლისათვის ფონდის გადამეტებით მიეწოდებინოთ 497 ათასი მანეთის პროდუქცია. ფაქტობრივად გეგმა მხოლოდ 95,1 პროცენტით შესრულდა. თანაც 8 ორგანიზაციას დიდძალი სადურგლო ნაწარმი და დახარხული ხე-ტყე დააკლეს. ანალოგიური ამბავი გამეორდა წლევანდელ პირველ კვარტალშიც, სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით გეგმა შესრულდა 98,1 პროცენტით და არა 100-ით, როგორც ანგარიშგების ფორმაში უჩვენეს.

მართალია, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მოსაპირკეთებელი ფილების ქარხანამ შარშან პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გაანაღდეს, მაგრამ იმის გამო, რომ სამინისტრომ არ განუსაზღვრა მომხმარებელი და არ ჰქონდა მიწოდების გრაფიკი, პროდუქციას უგანაწესოდ, შემთხვევით მომხმარებელზე ასაღებდნენ.

მშენებლობის სამინისტროს № 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორის ნ. შვანგირაძის, საწარმოო გაერთიანება „საქაგრომშენდეტალის“ მთავარი ინჟინრის ვ. ვახვახიშვილისა და ამავე გაერთიანების გორის ხის დამმუშავებელი ქარხნის დირექტორის დ. კაპანაძის უპასუხისმგებლობისა და პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის უქონლობის გამო ამ საწარმოებში ხშირია ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევები, რაც ნედლეულის დიდ დანაკარგებსა და უხარისხო პროდუქციის გამოშვებას იწვევს. შარშან № 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში 488 კუბური მეტრი წუნდებული პროდუქცია გამოუშვეს, წელს კი საყალიბო საამქროს უფროსის ა. თუთბერიძის უპასუხისმგებლობის შედეგად 25,4 კუბური მეტრი უხარისხო პროდუქცია დაამზადეს. გორის ხის დამმუშავებელ ქარხანაში სადურგლო ნაწარმის შემოწმებული პარტიის 9 პროცენტი არ შეესაბამებოდა სახელმწიფო სტანდარტებსა და გადაუშავებას საჭიროებდა.

კომიტეტმა საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენი მასალების მრეწველობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებისა და საწარმოო გაერთიანება „საქაგრომშენის“ ხელმძღვანელობის ყურადღება მიაქცია მთდაი დაქვემდებარებულ საწარმოებში გამოვლენილ სერიოზულ ნაკლოვანებებს და მოსთხოვა გადაუდებელი ღონისძიებები განახორციელონ მათი აღმოფხვრისათვის.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის კომიტეტის დადგენილებით საწარმოო გაერთიანება „საქაგრომშენდეტალის“ გენერალურ დირექტორს ლ. მამრიკიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მთავარ ინჟინერს ვ. ვახვახიშვილს — საყვედური. სასტიკი საყვედური გამოეცხადა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება დაეკისრა მშენებლობის სამინისტროს № 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის საყალიბო საამქროს უფროსს ა. თუთბერიძეს.

მხედველობაში მიიღეს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თხოვნა და № 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორის ნ. შვანგირაძის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა მის გადაეცა, ხოლო გორის ხის დამმუშავებელი ქარხნის დირექტორის დ. კაპანაძის პასუხისმგებლობის საკითხს გორის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი განიხილავს. ცნობად მიიღეს, რომ კასპის საშენებლო მასალების ქარხნის ყოფილი დირექტორი დ. გოცირიძე დასაჯა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, ხოლო სამინისტრომ ეს ქარხანა, როგორც დამოუკიდებელი საწარმო, გააუქმა.

• • •

მართალია, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესასრულებლად ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს (უფროსი — ვ. ებრაელიძე) ღონისძიებების შედეგად მკვეთრად შემცირდა როგორც იმ ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობდნენ, ისევე სასურსათო საქონლეს საერთო საქონელბრუნვაში ამ სასმელების რეალიზაცია და მათი ხვედრითი წილი, მაგრამ, რადგან ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას, ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ რაიკოოპერატივში შესუსტდა ანტიალკოჰოლური კანონმდებლობისა და ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის წესებეს დაცვა.

თეთრი წყაროს რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობამ, მანგლისის სავაჭრო გაერთიანების ობიექტებში ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ ცეკავშირის გამგეობის განკარგულების მიუხედავად, შეძლო რაიალმასკომიდან სპეციალური ნებართვის აღება და მანგლისის სახინკლესა და პავილიონ „პანტიანში“ ღვინით ვაჭრობენ. ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის წესების უზეში დარღვევით ყოველგვარი ალკოჰოლიანი სასმელი იყიდება სასადილო „ალგეთსა“ და პავილიონებში „ჰეგჰეგსა“ და „ტბაში“, ხოლო არაყი — სახინკლე „ცივ ხიდში“. საგირეტეგო ორგანოების მითითებათა დარღვევის შედეგად, საზოგადოებრივი კვების ამ ობიექტებში შარშან და წლევანდელ პირველ კვარტალში 250 ათასი მანეთის ღვინო-არაყი გაიყიდა.

თელავის რაიკოოპერატივის ობიექტებშიც არ აღმოფხვრილა აკრძალულ საათებში ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობა, ასე იყო, მაგალითად, № 2 რესტორან „შუამთაში“. მის დამხმარე სათავსში აღმოჩნდა 3682 ბოთლი ღვინო-არაყი, რომელსაც არ ჰქონდა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შტამპი, რაც ბოროტმოქმედებას ხელსაყრელ პირობებს უქმნის. რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობა არაფერს ღონობს ამისთვის, რომ გაამრავალფეროვნოს რესტორან „ალაზანში“ კერძების ასორტიმენტი, სამაგიეროდ აქ ყოველგვარი ალკოჰოლიანი სასმელი იყიდება.

თეთრი წყაროს და თელავის რაიონებში ალკოჰოლიანი სასმელებით მოვაჭრე საწარმოების შესამცირებლად გაწეულ მუშაობას თან არ ახლავს მოსახლეობისათვის ნახევარფაბრიკატების, კულინარული და საკონდიტრო ნაწარმის მიყიდვის გაფართოების ღონისძიებები, რეზერვების ძიება, ამ მიმართულებით სავაჭრო ობიექტების პროფილის შეცვლა.

ცეკავშირის გამგეობის დადგენილებით, თელავისა და თეთრი წყაროს რაიონებში პროფილი უნდა შეცვლოდა შესაბამისად 8 და 10 ობიექტს, სინამდვილეში კი მხოლოდ ორ-ორს შეეცვალა. თანაც, თელავის რაიონში შარშან წინა წელთან შედარებით საკონდიტრო ნაწარმის დამზადება და რეალიზაცია გეგმით გათვალისწინებული დავალების მიუხედავად არათუ არ გაიზარდა, შემცირდა კიდეც.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის თეთრი წყაროსა და თელავის რაიკოოპერატივების თავმჯდომარეებს რ. გეგეტაშვილსა და გ. ანდრიაშვილს, ამავე რაიონების საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორებს გ. კენკებაშვილსა და გ. ნაწიფაშვილს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ.

ცეკავშირის გამგეობას მოეთხოვა დაუყოვნებლივ იღონოს ყველაფერი გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად და ამ საქმეში სახელმწიფო დისციპლინის დასამყარებლად.

კომიტეტის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქკვებმანქანის“ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში გამოშვებული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასასვლელად მიმდინარე მუშაობის, სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა მიხედვით შიდასაუწყებო კონტროლის სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის გაზრდისათვის საქართველოს სსრ სამინტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარ სამმართველოში გაწეული საქმიანობის მდგომარეობის შემოწმების შედეგები და სხვა.

ს ა ქ ა ბ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია: „პლენუმს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია გაიზარდოს აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კადრების უკუგება იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც უკავშირდება წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდებას, გაძლიერდეს წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციაა“.

ამ მიმართულებით გარკვეულ საქმიანობას ეწევა თბილისის სახალხო კონტროლის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტი, რომელიც სისტემატურად სწავლობს და განიხილავს სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებში დამუშავებული პრობლემების ეფექტიანობისა და ხარისხის, წარმოებაში მათი გამოყენების საკითხებს, მეთოდიკურ დახმარებას უწევს სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს, ანალიზებს შედეგებს, ამუშავებს რეკომენდაციებს, რაშიც ხელს გვიწყობს რესპუბლიკური კომიტეტის მეცნიერების, კულტურისა და განმრთელობის დაცვის განყოფილება.

სწორედ ჯგუფების გააქტიურებამ კეთილსაყოფიერად იმოქმედა დამკვლევების მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე შესრულებასა და მათს დროულ დანერგვაზე, შესაბამისი ეკონომიკური უკუგების გადიდებაზე. მაგრამ მაინც ჯერ კიდევ გვხვდება ფაქტები, როცა სახალხო კონტროლის ზოგიერთ ჯგუფს თავის საქმიანობაში შემოწმების სიმძიმე გადატანილი აქვს შეორეხარისხოვან საკითხებზე.

ცხადია, სახალხო კონტროლის ჯგუფები მარტო იმაზე კი არ უნდა ზრუნავდნენ, როგორ შეფუფთონ და დაიცვან წვიმისაგან გამოკვლევებისათვის განკუთვნილი დანადგარ-მოწყობილობანი, არამედ იმაზეც, რომ დანიშნულებისამებრ, დროულად დამონტაჟდეს და ბაქსიმალურად დაიტვირთოს ეს დანადგარები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი გამოკვლევების მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე შესრულებას და დროულ დანერგვას. ამ საქმეში კვლევითი ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა უნდა გამოიჩინონ პრინციპულობა, გამოავლინონ ხარვეზები, ყველაფერი იღონონ მათი აღმოფხვრისათვის.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმების და მიღებული ზომების შედეგიც არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის საძთო მექანიკის ინსტიტუტის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობის არსებითი გაუმჯობესება. ახლა ჯგუფი სისტემატურად სწავლობს და თვალყურს ადევნებს სამეცნიერო თემატიკის მიმდინარეობას, სახელშეკრულები თემებზე ხარჯთაღრიცხვის სისწორეს, მოწყობილობათა და გამზომი ხელსაწყოპარატურის მოვლა-პატრონობასა და რაციონალურ გამოყენებას, შრომის დისციპლინის შემდგომ განტკიცებას. ყველა ეს ღონისძიება ხორციელდება სახალხო კონტროლის ჯგუფისათვის ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და პარტიული ბიუროს აქტიური მხარდაჭერით. შედეგმაც არ დაიყოვნა — ინსტიტუტმა მეთერთმეტე ხუთწლედი და 1986 წელი კარგი მაჩვენებლებით დაასრულა, გამოკვლევების დანერგვით მიღებული ათმილიონნახევარ ეკონომიკური ეფექტი, შესრულებული კვლევის მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს მოწმობს 100-ზე მეტი გამოგონება.

სასარგებლო იყო კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, ბიოლოგიის ინსტიტუტებში.

ამასთან შემოწმებებმა გვიჩვენა, რომ ორჯონიკიძის რაიონში განლაგებულ ზოგიერთ ინსტიტუტში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები და ხარვეზები. კერძოდ, კვლევით სამუშაოთა დანერგვის საკითხებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, მაგალითად, წესად არ იყო შემოღებული თემებზე ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენა, რომელშიც აისახებოდა, რა დაიხარჯა თემების შესრულებაზე, როგორია თემის სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი. რაც შეეხება მონაცემებს ფაქტობრივი ეფექტის შესახებ, არც ისინი იყო წარმოდგენილი თვალნათლივ.

კომიტეტის წარმომადგენლებმა ინსტიტუტის სახალხო კონტროლის ჯგუფთან ერთად დაიანგარიშეს და დაადგინეს, რომ უკანასკნელ წლებში გამოკვლევებზე ინსტიტუტის დანახარჯები გაცილებით აღემატებოდა მოგებას, დანახარჯი რამდენჯერმე სჭარბობდა მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინსტიტუტში საჭირო იყო გამოყენებითი სახეობის თემების ხვედრითი წილის 'დადგენა და გაზრდა; ამასთან, ეს პროცესი უნდა განხორციელებულიყო თემატიკის ფორმირებისას: სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა და მითითებების შესაბამისად აუცილებელი და საჭირო იყო დასამუშავებელ კვლევითს სამუშაოთა წინასწარ დაცვისუნარიანობის დადგენა და მათი შესრულებისადმი სათანადო წესით კონტროლის დაწესება. მისი გვერდის ავლა კი საშუალებას იძლეოდა ზოგიერთი ძვირადღირებული თემა მხოლოდ თეორიული ასპექტით, დანერგვისა და ეკონომიკური ეფექტის გარეშე დამუშავებულიყო.

ინსტიტუტში იყო შემთხვევები, როცა საპრემიო თანხები სწორედ არ ნაწილდებოდა. კერძოდ, ერთ საკვლევი თემა 3 ან 5 წელს ვადადებოდა, ამასთან ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტი (სპეციალისტები ინსტიტუტისა იყო თანამონაწილენი) ინერულ-ტექნიკურ დონეზე, შესრულებულ პრემია არ ეძლეოდათ იმიტომ, რომ თემა მთლიანად არ იყო დასრულებული. გამოდიოდა, რომ შემსრულებლებს უნდა ეცადათ 3 ან 5 წელი, რომ პრემია მიეღოთ, მაშინ, როცა გამოკვლევათა ეფექტიანად შესრულებისათვის განკუთვნილი პრემია ყოველწლიურად ეძლეოდა 10 კაცს მაინც, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და კვლევითი თემატიკის აქტიური ხელშემწყობთ. საკითხისადმი ასეთი მიდგომა კომიტეტმა მცდარად მიიჩნია და ინსტიტუტის ხელმძღვანელებისა და სახალხო კონტროლის ჯგუფის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია უპრეტენზიოდ დარჩეს კვლევითი სამუშაოს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე შემსრულებელი ზოგიერთი მუშაკი, ხოლო პრემია მიეცეს თანამშრომლებს, რომლებსაც გამოკვლევების ეფექტიანად შესრულებისა და დანერგვაში თავი არ გამოუჩენიათ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ არის

მეცნიერულ გამოკვლევებს — ფართო გზა!

გამოკვლევების დანერგვის სამუშაოთა გაჭიანურების ფაქტები, დახარჯული მანეთის უკუგების შედეგიც არასახარბიელო იყო. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა წინასწარ ურიგდებოდა გამოკვლევების დანერგვის ეფექტის ისეთი მაჩვენებლის დაგეგმვას, რომელიც არ აღემატებოდა მის შესრულებაზე დანახარჯს. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე, როცა დგებოდა თემებზე ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, ზოგიერთი მათგანი არ შეიცავდა მონაცემებს, თუ რამდენი დაიხარჯებოდა თემის შესრულებაზე და რა მოგებას მოელოდნენ მისი დანერგვით.

ინსტიტუტში მოწესრიგებას მოითხოვდა თემების დანერგვის საქმის წარმოება, დადგენილი წესით არ იყო გაფორმებული თემებზე შესრულებული საპატენტო გამოკვლევები.

სოციალისტური შეჯიბრების პირობებსა და ვალდებულებებში არ იყო შეტანილი მონაცემები თემათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტის, საავტორო მოწმობათა მიღების, გამოგონებათა გამოყენების და სხვათა შესახებ, რაც დადგენილია ამ საკითხზე სადირექტივო ორგანოების მითითებით.

უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როცა სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტებში სწორად არ ანგარიშობენ უკუგებას დახარჯულ მანეთზე; არ ადგენენ მათ რეალურ ფულს ამა თუ იმ სამუშაოს დანერგვის შემდეგ. ამის შედეგად სხვადასხვა ინსტანციაში წარდგენილ ანგარიშებში აღნიშნული ხოლმე დანერგვის შედეგად მიღებული ათიათასობით და მილიონნობით მანეთის ეკონომიკური ეფექტი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ეს იმიტომ, რომ იგი სამუშაოთა მოცემა-ჩაბარების აქტის საფუძველზეა შედგენილი და წარმოადგენს მხოლოდ პირობით მოსალოდნელი ეფექტიანობის მაჩვენებელს, თუმცა წარმოების მიერ სამუშაო მიღებულია, მიღება-ჩაბარების აქტიც შედგენილია, მაგრამ დანერგილი არ არის. ზოგჯერ საკითხისადმი ასეთი მიდგომით შეცდომაში შეჰყავთ ზემდგომი ორგანოები, უსაფუძვლოდ იქმნება პრემიული ფონდი და უნაწილდება არა მარტო იმათ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა თემატიკის დამუშავებაში, არამედ იმათაც, ვისაც საერთოდ არავითარი წვლილი არ შეუტანია არც მეცნიერულ კვლევასა და არც ახალი ტექნიკის დანერგვაში.

ზოგჯერ კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების თემატური გეგმების შედგენას წინ არ უძღვის შესაბამისი საპატენტო-საინფორმაციო გამოკვლევა სათანადო დონეზე, ამიტომ თემატიკის ჩამოყალიბება ფორმალურ ხასიათს ატარებს. არ არის სახალხო მეურნეობისა და მრეწველობისათვის აქტუალური, არ შეესაბამება ორგანიზაციის წინაშე დასახულ ამოცანებს და მისი საბოლოო შედეგიც ზოგჯერ მეცნიერებას არაფერს მატებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ აღებული კურსის განხორციელება, კვლევით ორგანიზაციებში გარდაქმნის პროცესისა და ეკონომიკის ინტენსიფიკაციის დაჩქარება, რაც უპირველესად მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ეფექტიანობის გაზრდით და დანერგვის პროცესის დაჩქარებით გამოიხატება, სახალხო კონტროლიორთა საზრუნავიცაა და სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს მუშობას ჩვენი შტატგარეშე განყოფილებაც.

ო. კეკელაშვილი,

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების შტატგარეშე განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ბიულეტენი

№ 226

ჟერილების კვალდაკვალ

რატომ დააკლეს პრემია?

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტში შემოსული წერილით გორის სამეურნეობათშორისო სასათბურე კომბინატის პირველი ბრიგადის წევრება გვაცნობებდნენ, რომ ბრიგადა 1986 წლიდან საიჯარო წესით მუშაობს და გადაჭარბებით ასრულებს სამეურნეო დავალებას. მიუხედავად ამისა, სათბურის ადმინისტრაციამ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და ბრიგადის წევრებს დააკლო პროდუქციის წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის გათვალისწინებული პრემია.

ანალოგიური წერილი შევიდა გორის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში. შემოწმებამ ცხადყო, რომ საიჯარო ბრიგადის წევრების პრეტენზიები უსაფუძვლო არ ყოფილა.

დღეს მიდასამეურნეო ანგარიში, საჩეკო სისტემა, კოლექტიური თუ საოჯახო იჯარა მეურნეობა-ორგანიზაციების ეკონომიკური განმტკიცების ეფექტიან საშუალებად არის მიჩნეული და სასათბურო კომბინატშიც მათს დანერგვას ეს მიზანი უნდა ჰქონოდა. მუშაობა ამან მოწონება და დაინტერესება გამოიწვია. მართლაც რომ, სასახელოდ იმრომეს და წარმატებით შესრულეს ნაკისრი ვალდებულებები.

ბუნებრივია, ენერგიულ შრომაგარჯას შესაფერისი ანაზღაურებაც უნდა მოჰყოლოდა პრემიისა თუ სხვა დანამატების სახით. მაგრამ აქ საიჯარო ბრიგადის წევრებს იმედი გაუცრუვდათ — დარიცხული პრემია მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა.

სასათბურო კომბინატის ეკონომიკური სამსახურის, პირველ რიგში კი უფროსი ეკონომისტის ბ. შევერდაშვილის მხრივ მინდობილი საქმისადმი უყურადღებო დამოკიდებულების შედეგად მართლაც დარღვეული აღმოჩნდა პრემიების გაანგარიშების წესები, რის გამოც პირველი საიჯარო ბრიგადის წევრებს 4218 მანეთით ნაკლები არგუნეს. საპრემიო თანხები დააკლეს სხვა ბრიგადებსაც, კერძოდ № 4 ბრიგადას — 982 მანეთი და № 2 ბრიგადას — 122 მანეთი, შემოწმებით ზოგიერთი სხვა ნაკლიც გამოვლინდა.

გორის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მკაცრად დასაჯა სასათბურე კომბინატის დირექტორი ზ. ცქიტაშვილი, ხოლო უფროსი ეკონომისტის ბ. შევერდაშვილის, როგორც პარტორგანიზაციის მდივნის, პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომს.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს კომბინატში მოაწყო მშრომელთა ღია მიღება. მშრომელებს გაეცნო შემოწმების შედეგები და განხორციელებული ღონისძიებები, საიჯარო ბრიგადების ორგანიზაციისა და მათი შრომის ანაზღაურების თაკისებურებანი.

ტ. ჭანტურიძე,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს რეფერენტი.

დავძლიოთ ფორმალიზმი, მოჩვენებითობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა სათანადო შეფასება მისცა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობას, მოითხოვა მათგან მუშაობის შემდგომი სრულყოფა, შემოწმებათა ქმედითობის გაძლიერება, განსაკუთრებით ძირეულ რგოლში — სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, ჯგუფებსა და საგუშაგოებში მუშობის დონის მკვეთრი ამაღლება, საკონტროლო საქმიანობაში ფორმალიზმის საბოლოოდ დაძლევა.

სწორედ ასეთი მოთხოვნა დაედო საფუძვლად სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე აბაშის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის საქმიანობის განხილვას, სადაც ყურადღება გამახვილდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად საკონტროლო საქმიანობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ორგანიზაციული გაძლიერებისა და მათი ქმედითუნარიანობის ამაღლების საკითხებზე.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, რაიონული კომიტეტის მიერ განხორციელებულ ზოგიერთ საკონტროლო ღონისძიებას დადებითი შედეგი მოჰყვა და სათანადო გავლენა მოახდინა რაიონის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებაზე. კომიტეტს მუდმივი კონტროლი აქვს დაწესებული მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მოყიდვის გეგმების შესრულებისადმი. კომიტეტის საქმიანობაში არის ზოგიერთი სხვა დადებითი მომენტიც, მაგრამ რესპუბლიკურმა კომიტეტმა რაიონული კომიტეტის, მისი თავმჯდომარის უყურადღება მიაპყრო ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, მუშობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

კომიტეტი ძალზე ნელა გარდაქმნის თავისი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს. სადღეისო ამოცანების შესაბამისად არ ზრუნავს მუშაობაში სიახლეების დანერგვისათვის, არ ეძებს საკონტროლო საქმიანობის მაღალეფექტიანობის მიღწევის გზებს, სისტემატურად არ იღებს, რათა აქტიური ზემოქმედება მოახდინოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებაზე. რაიონის წინაშე მდგომი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტაზე.

კომიტეტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები უმთავრესად მისი მცდარი დაგეგმვის შედეგია. სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი მოკლებულია აქტუალურობას. სუსტი საშემსრულებლო დისციპლინისა და მუშაობის უსისტემობის შედეგად 1985-1986 წლებში დაგეგმილი 69 საკითხიდან შემოწმდა მხოლოდ 36, ამასთან კომიტეტმა ამავე პერიოდში განიხილა 49 შემოწმების შედეგი, რაც არ იყო გეგმით გათვალისწინებული. კომიტეტმა თავი ვერ დააღწია საკითხების ზერელედ, ზედაპირულად შესწავლას. შემოწმების შედეგების გამო მიღებული დადგენილებები ხშირად ვერ უზრუნველყოფს მდგომარეობის გამოსწორებას.

1986 წლის აპრილში კომიტეტმა განიხილა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში სახელმწიფო გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შედეგები, გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, იყო მიწოდების გეგმების შეუსრულებლობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების მასობრივი შემთხვევები. აღნიშნული საკითხის იმავე წლის დეკემბერში ხელმეორედ შესწავლამ ცხადყო, რომ აღრინდელმა განხილვამ ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა არსებულ მდგომარეობაზე, პირიქით, კომბინატის საქმიანობაში გამოვლინდა უფრო სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები. კომიტეტმა არ მისცა პრინციპული შეფასება შექმნილ მდგომარეობას, არ დასახა მისი გამოსწორებისათვის აუცილებელი ღონისძიებები და დამნაშავე პირებს არ დააკისრა სათანადო პასუხისმგებლობა. ამის შედეგიც იყო, რომ კომბინატმა ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა 1986 წელი.

1985-1986 წლებში ოთხჯერ შეისწავლეს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრებისა და საკვების ხარჯვის მდგომარეობა, მაგრამ ყოველმა მომდევნო შემოწმებამ გამოავლინა ერთი და იგივე ნაკლოვანებები და კომიტეტის ოთხივე დადგენილება ქაღალდზე დარჩა.

ზოგჯერ კომიტეტი ისეთ წვრილმან და უმნიშვნელო საკითხებზე კარგავს დროს და ძალას, რომელთაც არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედების მოხდენა არ შეუძლიათ. ასეთია შესწავლილ საკითხთა თითქმის მეხუთედი. ამ დროს კი ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საკონტროლო საქმიანობის ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა წამატებებისა და თვალის ახვევის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლა. 1986 წელს სახბანკის სამტრედიის რაონულმა განყოფილებამ კომიტეტს გადასცა მასალა აბაშის სახანძრო ნაწილის შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე 2,2 ათასი მანეთის წამატების შესახებ. კომიტეტმა გადაამოწმა აღნიშნული ფაქტი და ეს თანხა ყოველად უსაფუძვლოდ 942 მანეთამდე დაიყვანა, ამასთან დამნაშავე პირების მიმართ არ მიიღო ზომები.

კომიტეტმა განიხილა საზოგადოებრივ მეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა აღრიცხვის, მოვლა-შენახვისა და ჩამოწერის მდგომარეობის შემოწმების შედეგები. გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კომიტეტს არავითარი ზომები არ მიუღია. ცნობად იქნა მიღებული, რომ ეს საკითხი ერთი კვირით ადრე განხილეს რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲐ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ მთელი ჩვენი ქვეყანა გარდაქმნის სულისკვეთებით ცხოვრობს. გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. გარდაქმნა ნიშნავს საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფას, ღრმა ცვლილებებს ადამიანის შრომის, ცხოვრების, მატერიალური და სულიერი პირობების სფეროში.

მართლმსაჯულებაში გარდაქმნა უწინარეს ყოვლისა სოციალისტური დემოკრატიის, ხალხის ნების, მისი უფლებების გაღრმავებასა და გაფართოებას გულისხმობს. დემოკრატია, — როგორც ეს ხაზგასმით ითქვა სკკპ XXVII ყრილობაზე, — იყო და კვლავ იქნება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ხოლო მტკიცე კანონიერება — ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებამ „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დააყენა მართლმსაჯულების ორგანოები. პარტია ჩვენგან მოითხოვს სასამართლოს ყველა რგოლში მუშაობის მკვეთრ განახლებას, გარდაქმნას, უზადოდ, უხარვეზოდ მუშაობას. გარდაქმნა მართლმსაჯულებაში ნიშნავს მისი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, საამართალდაცვითი ორგანოების ავტორიტეტის გაზრდას. ამას კი მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, და არის გარემოებები, რომელთა მოუწესრიგებლად ძნელია წარმატების მიღწევა გარდაქმნის პროცესში.

უკანასკნელ დროს საკანონმდებლო ორგანოებმა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით დანაშაულობათა ნუსხაში შეიტანეს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააწესეს ზოგიერთი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც წინათ დანაშაულად არ ითვლებოდა (ეს შეეხება უმთავრესად ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან, უშრომელ შემოსავალთან დაკავშირებულ ანომალურ გამოვლინებებს). ეს, რა თქმა უნდა, საჭირო და სასარგებლო მოვლენა იყო, მაგრამ ამან ერთგვარად გადატვირთა, გაართულა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა, წარმოიქმნა ზოგი პრაქტიკული სიძნელე, რაც უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ გაიზარდა სასამართლოში გასარჩევი საქმეების რაოდენობა. ეს კი, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლო პროცესების ხარისხზე.

ამასთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება მართლმსაჯულების პროცესის გამარტივების შესახებ, მაგრამ ეს ისე არ უნდა მოხდეს, რომ ამან გამოიწვიოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობა, ხელი შეეშალოს კონკრეტულ საქმეზე სრული ჭეშმარიტების დადგენას და ამით შეილახოს მოქალაქის კანონიერი ინტერესები და მართლმსაჯულების ორგანოს ავტორიტეტი.

როგორ შეიძლება მოზერხდეს ეს?

ჩემი აზრით, უფრო სწორი და გამართლებული იქნება, ისეთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის, გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული ზემოქმედება (ძირითადად ჯარიმის სახით) მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ისე, რომ დამნაშავე სამართალშიც კი არ იქნეს მიცემული. ამით საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს თავიდან ავაცილებთ დიდალ სამუშაოს, ასეთი საქმეების გამოძიებასა და განხილვას რომ სჭირდება. საჭირო აღარ იქნება უმნიშვნელო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ჩხრეკა, ქონების აღწერა-დაყადაღება და პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული სხვა მოქმედებანი (ბრალდების წარდგენა, ბრალდებულის დამცველით დათარჯმნით უზრუნველყოფა, შუამდგომლობების განხილვა, საბრალდებო დასკვნის შედგენა, სასამართლო განხილვა, განაჩენი, კასაცია და სხვა მომდევნო ინსტანციები), რაც დიდ დროს და შრომას მოითხოვს. ამასთან შემცირდება ნასამართლობის მქონე მოქალაქეთა რაოდენობა.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი ხასიათის დანაშაულისათვის სასამართლო მეტწილად ისედაც ჯარიმას უსჯის. მაგალითად, 1986 წელს სპეკულაციისთვის სასამართლე პირთა უმრავლესობას (54,4 პროცენტს) ჯარიმა მიესაჯა. სასჯელის ასეთივე ზომაა გამოყენებული საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიში ზოგი სხვა დანაშაულებრივი ქმედებისათვის. მაშ, რაღა საჭიროა ზედმეტი პროცესუალური გართულებები, განა არ ჯობს მოსამართლეს მივანდოთ ასეთ დამნაშავეთა დასჯა-დაჯარიმება ერთპიროვნული დადგენილებით?

იმისათვის, რომ არ შესუსტდეს აღნიშნულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა, საჭიროდ მიმაჩნია გაიზარდოს ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობა თუნდაც იმ ფარგლებში, რომელიც ასეთი კატეგორიის დანაშაულისათვის არის დაწესებული სისხლის სამართლის კანონის სანქციით. ამ მიზნით აღბათ საჭირო იქნება ცვლილება მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა დადგინდეს, რომელ დანაშაულზე შეიძლება ადმინისტრაციული ჯარიმის გამოყენება, ამასთან უნდა გაიზარდოს ამ ჯარიმის ოდენობა შესაბამისი სანქციის ფარგლებამდე და აქვე იქნეს მითითებული მისი ოდენობა.

ცხადია, შესაბამისად უნდა გამარტივდეს ამ კატეგორიის საქმეთა მოკვლევა და წინასწარი გამოძიება.

სასჯელის ასეთი ლონისძიება ბევრი დანაშაულის ჩამდენის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ. ამით არც ვინმეს კანონიერი უფლებები და ინტერესები შეილახება და არც სამართალდაცვითი ორგანოებისა და, რაც მთავარია, სასამართლოები განიტვირთება ზედმეტი საქმეების გარჩევისაგან: ეს კი საშუალებას მისცემს მათ მაღალ დონეზე და ხარისხიანად განიხილონ და გადაწყვეტონ ისეთი საქმეები, რომლებიც რთულია როგორც დანაშაულის ხასიათის, ასევე დანაშაულის ჩამდენი პიროვნების მხრიდის თვალსაზრისით. საბოლოო ანგარიშით ეს საოგებლობას მოუტანს კანონიერების დაცვასაც, მართლმსაჯულებასაც და საზოგადოებრივ ინტერესებსაც.

მართლმსაჯულების, სამართალწარმოების დონის ამაღლებაზე რომ ვლაპარაკობთ, უშუალოდ პრაქტიკულ საქმეებზე მომუშავე იურისტების ყურადღებას იპყრობს საპროცესო კანონის ზოგიერთი გაუმართლებელი, შეიძლება ითქვას, ფორმალური მოთხოვნა. მხედველობაში მაქვს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ განჩინების სათათბირო ოთახში დადგენისა და გამოქვეყნების წესი. ბევრ შემთხვევაში კანონის ამ მოთხოვნის შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან საკასაციო კოლეგიის ერთ სხდომაზე რამდენიმე საქმე განიხილება, მათ შორის ბევრი საკმაოდ რთული, და მოცემული დროის მონაკვეთში კოლეგიის წევრებს საშუალება არა აქვთ საფუძვლიანად მოითათბირონ, დასაბუთებული განჩინება დაწერონ და გამოაქვეყნონ. თუ გვინდა, რომ ეს დებრკოლება თავიდან ავაცილოთ და მართლმსაჯულება მაღალხარისხოვნად სრულდებოდეს, საჭიროდ მიმაჩნია კანონმა დააწესოს, რომ თათბირის შემდეგ გამოქვეყნდეს კოლეგიის გადაწყვეტილება, ხოლო მოტივირებული და დასაბუთებული განჩინება დაიწეროს შემდეგ, ვთქვათ, სამი დღის ვადაში, როგორც ეს რთული სამოქალაქო საქმეების პირველი ინსტანციით განხილვის დროს არის დადგენილი.

საჭიროდ მიმაჩნია შეიზღუდოს საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების, აგრეთვე განაჩენის გაუქმების საფუძვლები. წინასწარი და სასამართლო სამსჯავრო გამოძიების ხარვეზები, თუ ამით ფატქობრივად (და არა წმინდა ფორმალურად) დარღვეული არ არის მსჯავრდადებულის (ბრალდებულის) უფლებები, არ უნდა იწვევდეს განაჩენის გაუქმებას. ამასთან დაკავშირებით უნდა გაფართოვდეს საკასაციო ინსტანციის უფლება-მოვალეობა, რათა მას საშუალება მიეცეს გამოასწოროს და შეავსოს წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების ზოგიერთი ხარვეზი. ამ მიზნით დაკითხოს მოწმე, გამოითხოვოს დოკუმენტი, მოაწყოს ექსპერტიზა და სხვა, ისე რომ არც მსჯავრდადებულის უფლება შეილახოს და არც საქმის განხეორებით განხილა თუ საქმის ხელახალი გამოძიება გახდეს საჭირო.

მართლმსაჯულების ავტორიტეტი ძირითადად კადრებზე, სასამართლო ორგანოთა მუშაკების კომპეტენტურობაზე და პატიოსნებაზეა დამოკიდებული. პრაქტიკა ადასტურებს, რომ უფრო მეტად ამართლებენ მოსამართლედ არჩეული ის პირები, რომლებსაც აქვთ პარტიული მუშაობის გამოცდილება, ისინი, ვინც პროკურატურის ორგანოებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობით აიმაღლა პროფესიული ცოდნის დონე. ამასთან სადავო არ უნდა იყოს, რომ მოსამართლედ მუშაობის რაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს პირს, მით უფრო ხალ ყოფიერად და [illegible] შობს იგი. ამტომ, ჩემი აზრით, ასაკობრივი ზედა ზღვარი ყოველთვის არ უნდა იქნეს გადაწყვეტი მოსამართლეთა არჩევებში.

და ბოლოს, მართლმსაჯულების ავტორიტეტზე დიდად მოქმედებს სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: მრავალი სასამართლო შესანიშნავ შენობაშია მოთავსებული და იქ მუშაობის ნორმალური პირობებია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ სასამართლოს, მათ შორის ქ. თბილისშიც, აქვს შეუფერებელი რეზიდენცია, რაც თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენს მართლმსაჯულების განხორციელებასა და მის ავტორიტეტზე. ეს საქმე წვრილმანი და მეორეხარისხოვანი სულაც არ არის და მის მოგვარებაზე უწინარეს ყოვლისა თვით სასამართლოების ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ.

დღეს, ჩვენს ქვეყანაში დაწყებული დიდი გარდაქმნის ამ ღირსშესანიშნავ დროს, როცა ასე ღრმავდება და ფართოვდება სოციალისტური დემოკრატია და ხალხის თვითმართველობა, ერთ-ერთი გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელთა მართლმსაჯულების მტკიცედ და განუზრუნველ განხორციელებას, ადამიანისათვის სამართლიანობის, კანონის პატივისცემის გრძნობის ჩანერგვას. ამას კი უწინარეს ყოვლისა სამართალდაცვითი ორგანოები უნდა აკეთებდნენ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით.

ა. ᲙᲝᲛᲑᲐᲮᲘᲫᲔ,
თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

● **ᲡᲝᲤᲘᲐ.** ხარისხი თანამედროვე წარმოების განვითარების დონის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ელექტრონიკას. პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე შესრულებული სამუშაოსათვის ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობის გასადიდებლად გამიზნული ინიციატივის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ბულგარეთის ქალაქ სილისტრის გაერთიანება „ორგტექნიკის“ კოლექტივის საქმიანობა.

პროფკავშირის წინადადებით აქ დაინერგება სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა. მაგალითად, ყოველკვირაობით იგი ითვალისწინებს არა მარტო საგეგმო დავალებათა შესრულებას, არამედ მუშაკთა წვლილსაც პროდუქციის ხარისხის გადიდების, ახალი ნაწარმის ათვისების ვადების შემცირების, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში. ეს ქმნის სხვადასხვა საწარმოო რგოლის მუშაობისადმი ოპერატიული კონტროლის, მოწინავე, გამოცდილების ფართოდ გავრცელების პირობებს. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისადმი ახალმა მიდგომამ ხელი შეუწყო გაერთიანების მშრომელთა ინიციატივის გაფართოებას, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებას.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

● **ᲠᲐᲚᲐ.** ჩეხოსლოვაკიის მაღაზიებსა და მომსახურების სფეროს საწარმოებში გაჩნდა განცხადებები: აქ შეიძლება უნაღდოდ გაასწოროთ ანგარიში საქონლის ან გაწეული მომსახურებისათვის. ასეთი ანგარიშსწორების სისტემას უკვე აქტიურად იყენებენ საწარმოები და ორგანიზაციები. ახლა იგი გავრცელდა საცალო ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროშიც. უნაღდო ანგარიშსწორების სისტემის განვითარებას წინ უძღოდა შემნახველი სალაროების საქმიანობის რეორგანიზაცია. ახლა მოქალაქეებს შეუძლიათ გახსნან აქ სპეციალური ანგარიში, რომელიც მათ უფლებას აძლევს მიიღონ ჩეკის წიგნაკი, და მისი საშუალებით გადაიხადონ თავიანთი მიმდინარე ხარჯები.

ფართო პრაქტიკაში უნაღდო ანგარიშსწორების შემოღება, უთხრა საკდესის კორესპონდენტს ჩეხიის სახელმწიფო შემნახველი სალაროს გენერალურმა დირექტორმა ვ. ნეპომიხოვამ, ასახავს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის საერთო განვითარებას, ადამიანთა ცხოვრების დონის ზრდას, ფულადი ოპერაციების მასშტაბის გადიდებას. მოსახლეობის ფულადი სახსრების წლიური ბრუნვა თითქმის 900 მილიარდ კრონს შეადგენს. ხორცეულდება საქონლის შესყიდვის დაახლოებით ათი მილიარდი ოპერაცია. სწორედ ამიტომ მოიპოვა უნაღდო ანგარიშსწორებამ საერთო სახელმწიფო მხარდაჭერა.

ხუთწლედის დამლევამდე მარტო ჩეხიის მოსახლეობას შემნახველ სალაროებში გახსნილი ექნება მილიონ-ნახევრამდე ანგარიში, რომელიც მათ ჩეკის წიგნაკის უფლებას აძლევს. 2000 წლისათვის რესპუბლიკის მოსახლეობის სამი მეოთხედი ისარგებლებს ჩეკის წიგნაკებით.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ

● **ᲮᲝᲨᲘᲛᲘᲜᲘ.** უცხოეთის ტურიზმი სოციალისტური ვიეტნამის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი ხდება. მარტო შარშან რესპუბლიკას ეწვია 30 ათასზე მეტი საზღვარგარეთელი სტუმარი. წელს დასახულია ეს ციფრი პრაქტიკულად ერთიორად გაიზარდოს. სოციალისტური ქვეყნების, და უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის წილად მოდის ტურისტთა 75 პროცენტი.

ხოშიმინს — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთის უდიდეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს — შარშან ეწვია ექვსი ათასზე მეტი უცხოელი ტურისტი. მათ განკარგულებაშია კომფორტული სასტუმროები, საინტერესო მარშრუტები. მიმდინარე წელს ქალაქის საზღვარგარეთელ სტუმართა რიცხვი ერთიორად გაიზრდება. მოგზაურობის მოყვარულებს ნამდვილად დაიინტერესებს ახლახან გახსნილი ახალი მარშრუტი, რომელიც ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამ ქვეყანაზე — ვიეტნამზე, ლაოსსა და კამპუჩიაზე გადის. ტურისტები დაათვალიერებენ ჰანოის, ხოშიმინს, იიენტიანს, პნომპენს, შეივლიან ანგკორვატის ტაძრის კომპლექსში, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ შუა საუკუნეების ქმერთა არქიტექტურის მარგალიტად.

29 ᲛᲐᲘᲡᲘ ● ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲣᲙᲐᲠᲝᲥᲔᲗᲨᲘ

ფაქტები • მოვლენები

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ განვლილმა შვიდმა ათწლეულმა დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შემოქმედებითი ხასიათი, მათი წარუვალი ღირებულება, სოციალისტური გარდაქმნების მიმართულების განსაზღვრის, მიღწეული წარმატებების, აგრეთვე შეცდომებისა და წარუმატებლობის განზოგადებისა და დასკვნების გამოტანის უნარი. ეს ხაზგასმულია პოლონეთის პრესაში გამოქვეყნებულ რეზოლუციაში, რომელიც მიიღო გასულ კვირას დამთავრებულმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

უდიდესია საბჭოეთის მიღწევები. ოქტომბრის რევოლუციის იდეები განაგრძო და თანამედროვე გამოხატულება მისცა სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულმა გარდაქმნის პროცესმა, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. გარდაქმნა — ეს ლენინის საქმის ვაჟკაცური და პირდაპირი გაგრძელებაა, ეს XXI საუკუნის მიჯნაზე სოციალიზმის წინაშე წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტისას რევოლუციური წყაროების შემოქმედებითი გამოყენებაა. ნაყოფს იღებს საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის შეტევა მშვიდობისა და განიარაღების, ბირთვული მოსპობის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლების მიზნით. მთელი პროგრესული მსოფლიო დღეს დიდი იმედით შეჰყურებს სკკპ პოლიტიკას, იმ დიდ ამოცანებს, საბჭოთა ხალხი რომ წყვეტს. პოლონელი ხალხი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია მტკიცედ და აქტიურად უჭერენ მხარს ამ კურსს.

დღეს სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას მჭიდროდ აკავშირებთ სოციალიზმის იდეებისა და მიზნების ერთიანობა, რაც ორი ხალხის ისტორიაში ახალი თვისებაა, მათი ისტორიული მონაპოვარია, ხაზგასმულია რეზოლუციაში. სსრ კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა აღრმავებენ ყოველმხრივ თანამშრომლობას. მის განვითარებას განსაკუთრებით მძლავრ იმპულსს აძლევს ახლა საბჭოთა კავშირის გარდაქმნისა და პოლონეთის განახლების იდეალების სიახლოვე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, ორი სახელმწიფოსა და ხალხის ურთიერთობის განვითარებისადმი ფართო და გაბედული მიდგომა აისახა იდეოლოგიის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის დეკლარაციაში, აგრეთვე სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2.000 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებულ გრძელვადიან პროგრამაში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, აღნიშნულია დოკუმენტში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, მოკავშირე პარტიების, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ყველა წევრს, ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მოუწოდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის მომზადებასა და აღნიშვნაში.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲜᲔᲠᲔᲡ ᲝᲥᲛᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. აქ ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობების საქმეთა სამმართველოს შორის 1988-1989 წლებში საქმიანი გაცვლის შესახებ. დოკუმენტი ითვალისწინებს წიგნის გაცვლის გაფართოებას ორ ქვეყანას შორის, საბჭოთა და ჩინელი ავტორების წიგნების გამოცემათა გაზრდის ღონისძიებებს, საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის წარმომადგენელთა გაცვლას. მიღწეულია მორიგება ერთმანეთთან გაგზავნონ სპეციალისტები, რედაქტორები და მთარგმნელები წიგნების თარგმნისა და რედაქტირების ხელშეწყობისათვის. ოქმი ითვალისწინებს წიგნის გამოფენების გაცვლის გაზრდობას.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

◆ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლი. ქართულმა ცეკვამ მოაჯადოვა ბრიტანელი მაყურებელი, რომელიც მჭუხარე ოვაციებით ხვდება დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი თეატრის „პალადიუმის“ სცენაზე ანსამბლის ყოველ გამოსვლას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ლონდონის „პალადიუმის“ თეატრის კართან დიდძალი ხალხი ირევა ხოლმე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტის დაწყების წინ.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

◆ **ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ**

ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ 40 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲰᲐᲠᲐᲠᲔ. მას შემდეგ, რაც შარშან 12 ივნისს ქვეყანაში შემოიღეს საგანგებო წესები, დაპატიმრებულ სამხრეთაფრიკელთა თითქმის 40 პროცენტს ბავშვები შეადგენენ, ეს განაცხადა იოჰანესბურგის ბავშვთა საქველმოქმედო ორგანიზაციის დირექტორმა ადელე თომასმა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მონაცემებით, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სამხრეთ აფრიკაში გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დაუპატიმრეს 10 ათასზე მეტი 18 წლამდე ასაკის მოზარდი. ოთხი ათასი ბავშვი ჯერ კიდევ საპყრობილეებში იმყოფება. მათგან ყველაზე უმცროსი 11 წლისაა, 115 კაცი კი 12-14 წლისა.

რასისტულ საპყრობილეებში მათ მედიცინგეები ასასტიკად სცემენ, აწამებენ და აბუჩად იგდებენ. სამხრეთ აფრიკის ეროვნული სამედიცინო ასოციაციის გამოკითხვის თანახმად, დაპატიმრებული 130 მოზარდიდან სამოცდაათმა თქვა, რომ აწამებდნენ. პოლიციელთა რეპრესიების დროს მოკლულ აფრიკელთა მნიშვნელოვან ნაწილს ბავშვები შეადგენენ.

პრეტორიის ხელისუფალთა ასეთი სისასტიკე საზოგადოებრიობის მზარდ პროტესტებს იწვევს. მრავალმა ანტირასისტულმა ორგანიზაციამ მოითხოვა ბავშვების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. იოჰანესბურგის, დურბანის და კეიპტაუნის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოწოდება: „შეწყდეს ბავშვების დაპატიმრება“. პუბლიკაციები მოითხოვენ, რომ მთავრობამ გამოაქვეყნოს დაპატიმრებულ ბავშვთა ზუსტი რიცხვი და მათი გვარები.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲒᲔᲝᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲠ

ᲠᲝᲛᲘ. ყოველწლიურად გეოგრაფიული მანძილი ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის 2,1 სანტიმეტრით იზრდება. ამავე დროს ავსტრალია და ევროპა ერთმანეთს უახლოვდება წელიწადში 4 სანტიმეტრი სიჩქარით. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ამერიკელ და ევროპელ გეოფიზიკოსთა იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართული შეხვედრის მონაწილეებმა.

კოსმოსური და ლაზერული ტექნიკის გამოყენებით მოწყობილი გამოკვლევების შედეგად, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მოზარდდა ჯერ კიდევ ახლანდელი საუკუნის მიჯნაზე შობილი სამეცნიერო ჰიპოთეზის ახალი დამამტკიცებელი საბუთების მიღება. ამ თეორიის თანახმად, დედამიწის ქერქი შედგება ას კილომეტრამდე სისქის 20 ცალკეული პლატოსაგან, რომლებიც ჩაძირულია რაღაც ნახევრად თხევად სუბსტანციაში და ამიტომ განუწყვეტლივ მოძრაობენ. ამ მოძრაობის უთანაბრობას, კერძოდ, ის მოსდევს, რომ ავსტრალია და სამხრეთ ამერიკა „მიცურავენ“ ერთმანეთის შესახვედრად წელიწადში 8 სანტიმეტრის სიჩქარით, ევროპა კი, სამხრეთ ამერიკას ამავე პერიოდში 2 სანტიმეტრით „შორდება“.

ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

● ᲐᲨᲨ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა ინტერვიუ მისცა დასავლეთ ევროპის, კანადისა და იაპონიის ტელეიურნალისტთა ჯგუფს.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად მიუახლოვდნენ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები შეთანხმებას ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, რეიგანმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ საკითხის გამო „გაცხოველებულ კონსულტაციებს მართავდა მოკავშირეებთან“. „როგორც ჩანს, — დასძინა მან, — მიღწეულია საყოველთაო თანხმობა იმ საკითხის ძირითადი პირობების თაობაზე, რომელსაც განვიხილავთ“.

„მე მჯერა, — თქვა რეიგანმა შემდეგ, — რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, მეტი პროგრესი, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი წლების მანძილზე, და რომ ახლა უფრო კარგი შესაძლებლობა გვაქვს, ვიდრე ოდესმე, რათა შევუდგეთ ბირთვული შეიარაღების შემცირებას“, „მინდა იმედი ვიქონიო, რომ საბოლოო ანგარიშით მოვახერხებთ მსოფლიოში ყველა ბირთვული იარაღის მოსპობას“, — განაცხადა მან.

მაგრამ იქვე პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციას „ევროპაში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის არავითარი გეგმები არა აქვს“, ვინაიდან ესაო საშუალებას მისცემდა საბჭოთა კავშირს შეინარჩუნოს თითქოსდა არსებული „მნიშვნელოვანი უპირატესობა ჩვეულებრივ შეიარაღებაში“. თეთრი სახლის მეთაურმა აგრეთვე ნათლად აგრძნობინა ჟურნალისტებს, რომ მისი ადმინისტრაცია უწინდებურად არ აპირებს უარი თქვას „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

რეიგანმა აღიარა, რომ მას აწუხებს დასავლეთ ევროპაში სსრ კავშირისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა. ეს, როგორც ნაზგასმით აღნიშნავს პრესა, პირდაპირ უკავშირდება საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ ფართო სამშვიდობო ინიციატივებს. მაგრამ ამავე დროს იგი უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ „შეერთებული შტატები უფრო სანდოა, ვიდრე საბჭოთა კავშირი“.

ინტერვიუს დროს პრეზიდენტმა აღიარა, „ირანგეიტის სკანდალმა“ შელახა ჩემი პირადი ავტორიტეტი“. „მე, — თქვა მან, — მსაზავენ ისეთ კაცად, რომელიც ფარულად არღვევდა კანონს და სხვადასხვაგვარ ბინძურ საქმეებს სჩადიოდა, რათა გვერდი აეარა იმ შეზღუდვისათვის, რომელიც კონგრესმა დაუწესა „თავისუფლების მებრძოლთათვის დახმარებას“ (ასე უწოდებს ვაშინგტონის ადმინისტრაცია კონტრრევოლუციონერთა ბანდებს, რომლებიც ცდილობენ დაამხონ ნიკარაგუის კანონიერი მთავრობა. — საკდესის შენიშვნა). თეთრი სახლის მეთაურმა ერთხელ კიდევ სცადა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა მომხდარი ამბის გამო და ამტკიცებდა, ყოველივე ამაში ვაშინგტონში აკრედიტებული ჟურნალისტების ხელი ურევიაო.

შეეხო რა სპარსეთის ყურეში ამერიკის შეერთებული შტატების საომარ მზადებას, რეიგანი დაემუქრა ირანს, რომელსაც მან „ბარბაროსული ქვეყანა“ უწოდა. პრეზიდენტმა აპოლოგეტულად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები მზად არიან დარტყმა მიაყენონ ირანს. მაგრამ მან უარი თქვა დაეკონკრეტებინა ეს გეგმები და ბრძანა: „ჩემი აზრით, გაცილებით უკეთესი იქნება, ირანელებმა ყოველდღე ძილის წინ იმკითხაონ, ნეტავ ამერიკელები რას აპირებენო, ვიდრე წინასწარ იცოდნენ ჩვენი გეგმები“.

◆ **ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ**

ᲣᲮᲔᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. როგორც ცნობილი გახდა, პაკისტანის ქალაქ ფეშავარიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიგზავნა დუშმანთა ჯგუფი, რომელშიც შედიან ავღანეთის თითქმის ყველა ძირითადი კონტრრევოლუციური დაჯგუფების წარმომადგენლები. ისინი გავლიან „სტინგერის“ ტიპის საზენიტო რაკეტების გამოყენების შესწავლის კურსს. პაკისტანის დახმარებით კონტრრევოლუციონერებს ქმნის შეიარაღებული შენაერთების ტყვიამფრქვევებით, რაკეტებით, სასროლი იარაღით, ნაღმებითა და მკვლელობის სხვა იარაღით მომარაგების ახალ სატრანზიტო ბაზებს. მორჩილად მისდევს რა ფარვატერში ვაშინგტონის აგრესიულ პოლიტიკას, პაკისტანი სულ უფრო მეტად ებმება გამალებულ შეიარაღებაში და დედამიწის ამ რაიონში დაძაბულობის წყარო ხდება. აგრესიის ობიექტად არჩეულია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, და ეს მაშინ, როცა არც ერთი მეზობელი ქვეყანა არ ემუქრება პაკისტანის უშიშროებას.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში სამხედრო ჩარევასთან ერთად ისლამაბადის რეჟიმი იდეოლოგიურ ინტერვენციასაც ეწ

ეპოქის სუნთქვა

სამხატვრო აკადემია რუსეთში თითქმის 230 წელიწადია არსებობს. 1724 წელს პეტერბურგში პეტრე დიდმა ხელი მოაწერა სპეციალურ პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა აკადემიის გახსნას. მხოლოდ მ. ლომონოსოვის აქტიური ჩარევით და მონაწილეობით 1758 წელს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სამხატვრო აკადემია.

ახლახან მოსკოვში, მხატვრის ცენტრალურ სახლში სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრთა ნამუშევრების რიგით XV გამოფენა მოეწყო. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილმა ამ ექსპოზიციამ თითქმის მთლიანად ასახა ჩვენი საუკუნის მაჯისცემა.

გამოფენაში მონაწილეობენ მსოფლიო სახვითი ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო წევრები: ს. რერიხი, ხ. ბიდსტრუპი, ვ. კლემკე, ი. კიში, მ. კონენენი, კ. ბაბა, ჟ. ეფელი, ა. თიკლა, დ. მანცუ, აქვეა აგრეთვე ცალკეულ ოსტატთა ნამუშევრებიც. ეს ოსტატები: ა. ოსმოლოვსკი, ნ. ტოროპოვი, ა. ბაბანოვი, ბ. ბოგატოვი, ა. ბოგატოვი, ბ. ბოგატოვი, ბ. ბოგატოვი, ბ